<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016005) შეტანილ იქნეს ცვლილება და „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმა“ დამტკიცდეს თანდართული სახით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

პროექტის მიღების მიზეზი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით დისციპლინური გადაცდომის სახედ განისაზღვრა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით. ასევე, დაზუსტდა მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევის მიზეზის არასაპატიოდ არჩათვლის შემთხვევა, კერძოდ, ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის“ მითითებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ იწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის საჭიროებას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.